

მცირე და საშუალო ბიზნესი და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში

ცნობილია, რომ მცირე ბიზნესი, ბიზნესის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან შედარებით, თავისი აშკარა უპირატესობების გამო, მრავალი სახელმწიფოს ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს. მცირე ბიზნესი თავის თავში მცირე, საშუალო და წვრილ საწარმოებს მოიცავს, რომლებიც ყველა განვითარებულ ქვეყანაში ეკონომიკურ და ბიზნეს პროცესებში დომინანტურ როლს თამაშობენ.

მოცემულ სტატიაში არის განხილული, მცირე ბიზნესის არსი, ის უპირატესობები და ნაკლოვანობები, რაც თან სდევს მცირე ბიზნესს. წარმოდგენილია ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მცირე ბიზნესზე. ნაჩვენებია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პერსპექტივები საქართველოში.

ბოლო 30 წლის მანძილზე მთელ რიგ ქვეყნებში შეიმჩნევა მცირე საწარმოთა რაოდენობების მნიშვნელოვანი ზრდა. დღეს მცირე ბიზნესში დასაქმებულია მსოფლიო მოსახლეობის 50%. ევროკავშირის ქვეყნებში კი 72%.(1)

მთავრობამ, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის მოტივით, საგადასახადო კოდექსში მიკრო და მცირე ბიზნესების ცნებები განსაზღვრა. მიკრობიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ ფიზიკურ პირს, რომლის წლიური ბრუნვა 30 ათას ლარამდეა. ასეთი მეწარმე საშემოსავლო გადასახადისგან თავისუფლდება. მცირე ბიზნესის კატეგორიას მიეკუთვნებიან ის ბიზნესმენები, რომელთა ბრუნვა 30 ათასიდან 100 ათასამდეა. თუმცა, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, მიკრობიზნესის სტატუსის შემოღებაში რევოლუციური არაფერია, რადგან ამ კატეგორიის ბიზნესმენები გადასახადებს ისედაც არ იხდიდნენ.

სახელმწიფოსთან ურთიერთობაში ყველაზე დაუცველი მცირე და საშუალო ბიზნესია. მსხვილ კომპანიებს უფრო უკეთესად შეუძლიათ თავის დაცვა იმის გამო, რომ მათ მეტი საშუალებები აქვთ. აქ არა მარტო ინდივიდუალურ საშუალებები იგულისხმება (ვთქვათ კვალიფიციური იურიდიული მომსახურებით სარგებლობა), არამედ ისიც, რომ მათ აქვთ საშუალება, კოლექტიური ინტერესებიც გამოხატონ.

**გენალი იაშვილი – სრ. პროფესორი
ქეთევან ბეთლემიძე – დოქტორანტი**

მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროს განვითარებისათვის საჭიროა, პირველ რიგში, სახელმწიფოს მხრიდან ისეთი საკანონმდებლო მხარდაჭერის განხორციელება, რომელიც გარკვეული ფინანსური სიძნელების პერიოდში ამოსუნთქვის საშუალებას მისცემს მცირე და საშუალო მეწარმეს.

აშშ-ს და ევროპის კავშირის ქვეყნების მცირე ბიზნესის განვითარების პოლიტიკის შესწავლის შედეგად გაკეთებულია პროგნოზი: საქართველოს ეკონომიკის სწრაფი ზრდის უზრუნველსაყოფად და მოწინავე ქვეყნების განვითარების დონის მისაღწევად, ჩვენს ეკონომიკაში, მცირე და საშუალო ფირმების რაოდენობა 250-260 ათასს უნდა აღწევდეს.

როგორც აღნიშნავენ, „ახალმა საგადასახადო კოდექსმა პრაქტიკაში მიკრო და მცირე ბიზნესის შედავათიანი რეგულაციები დაამკვიდრა. მიკრობიზნესი გადასახადებისგან საერთოდ განთავისუფლდა, ხოლო მცირე ბიზნესისთვის გამარტივებული რეჟიმი ამოქმედდა. თუმცა ეს ახალი საგადასახადო შედავათები მხოლოდ ფიზიკური პირის საქმიანობას შეეხო და ის არასრულფასოვან იურიდიულ ნორმად გადაიქცა, რადგანაც რეალური მცირე ბიზნესი ახალი საკანონმდებლო ინიციატივის მიღმა აღმოჩნდა. ამიტომაც, მცირე და საშუალო საწარმოების ხელსაყრელი ბიზნესგარემოს შესაქმნელად ხელისუფლებამ სპეციალური კანონი უნდა მიიღოს და ქვეყანაში ის რეგულირება დამკვიდრდეს, რომელიც მთელს მსოფლიოში მოქმედებს. მაგალითად, კლასიკური მიდგომებით, თანამედროვე ბიზნესსამყაროში მცირე ბიზნესად 10 მილიონამდე წლიური ბრუნვის საწარმოს ბრუნვის არეალი 100 ათასიდან 2 მილიონ ლარამდე, უკიდურეს შემთხვევაში 1 მილიონ ლარამდე მაინც უნდა განისაზღვროს, 100 ათას ლარზე ქვემოთ წლიური ბრუნვის მქონე საწარმოები კი – მიკრობიზნესად.

საგადასახადო კანონმდებლობაში მაქსი-

მაღურად უნდა გამოირიცხოს ორმაგად წაკითხვადი და რთულად განმარტებადი დებულებების არსებობა. ასევე, თავად „საქართველოს საგადასახადო კოდექსმა“ უნდა მოიცვას საკითხების სრული სპექტრი და მინიმუმამდე შემცირდეს ის კანონქვემდებარე ნორმატიული ბაზა (ინსტრუქციები, ბრძანებები), რომლითაც რეგულირდება საგადასახადო ურთიერთობა და განსაკუთრებით, საგადასახადო კონტროლის საკითხები.

საჭიროა დაბეგვრის რეჟიმის გამარტივება, რათა მცირე ბიზნესისათვის კუთვნილი გადასახადების დაანგარიშების და გადახდის პროცედურები იყოს მნიშვნელოვნად მარტივი. ეს, საგრძნობლად შეამცირებს ბიზნესის, განსაკუთრებით კი, მცირე და წვრილი სამეწარმეო საქმიანობით დაკავებულ პირთა მიერ ადმინისტრირების და საბუღალტრო მომსახურებაზე გასაწევ დანახარჯებს.

ასევე, ვფიქრობთ, რომ აუცილებელია საგადასახადო აღრიცხვისა და ანგარიშების ფორმების გამარტივება, რაც გულისხმობს წლიური საგადასახადო დეკლარირების პრაქტიკის შემოღებას. ეს მნიშვნელოვნად შეამცირებს ბიზნესის მხრიდან სამეწარმეო და აღრიცხვა-ანგარიშების პროცესში შეცდომის დაშვების რისკს.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო თუ ადგილობრივმა ფონდებმა საქართველოში მცირე მეწარმეების დასახმარებლად ათეულობით მილიონი ლარი დახარჯეს, თუმცა ბიზნესის ეს სექტორი, განვითარების ნაცვლად, ყოველწლიურად მცირდება. მცირე და საშუალო ბიზნესის წილი ქართული ბიზნესის მთლიან მოცულობაში, გასული წლების მსგავსად, კვლავ არ აღემატება 15%-ს. შემცირებულია საშუალო ზომის საწარმოების რიცხვი, ამ საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა და საშუალო ხელფასი. საქართველოს ეკონომიკაში როგორც ბრუნვის, ასევე დასაქმებულთა რაოდენობის მაჩვენებლების 60%-ზე მეტი მსხვილ საწარმოებზე მოდის, მიუხედავად იმისა, რომ მსხვილი საწარმოების წილი რეგისტრირებულ სუბიექტებში მხოლოდ 7%-ია. (5)

საერთაშორისო ორგანიზაციებმა, მათ შორის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ (I f) და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (შ I), საქართველოში განხორციელებული პროექტების ფარგლებში, მცირე და საშუალო საწარმოების ბიზნესგარემო გამოიკვლიეს. მეწარმეებმა ძირითად პრობლემად კანონმდებლობის ხშირი ცვლილება დაასახელეს. გამოკითხულთა უმრავლესობის (73 პრო-

ცენტი) აზრით, ბიზნესგარემო საქართველოში ბოლო ერთი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუარესდა. საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოების დაახლოებით 70%-მა განაცხადა, რომ მთავარი პრობლემა ბიზნესის წარმართვისას ინვესტიციების მოძიება იყო. მათგან, ვინც კაპიტალური ინვესტიციები განხორციელა, 77 პროცენტმა აღნიშნა, რომ ეს მათ გაუნაწილებელი მოგებიდან და საკუთარი დანახარჯებიდან სახსრების მობილიზებით მოახერხეს. მაღალი საგირავნო მოთხოვნა და საპროცენტო განაკვეთები იმ ძირითად პრობლემად დასახელდა, რის გამოც საწარმოები საბანკო სესხებით არ სარგებლობენ.

მიუხედავად იმისა, რომ ახალ საგადასახადო კოდექსში არის სასიკეთო ცვლილებები წინა წლებთან შედარებით, ქვეყანაში საგადასახადო ადმინისტრირება კვლავ შეიცავს სადამსჯელო ინსტრუმენტებს, რაც განსაკუთრებით მტკივნეულად მცირე ბიზნესს, მცირე, საშუალო და წვრილ საწარმოებსა და მომსახურების სფეროებს ეხება. ყველა განვითარებულ ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესი შედევითიანი საგადასახადო სისტემით არის წახალისებული სახელმწიფოს მხრიდან, რაც მისი პროგრესული განვითარების მაჩვენებელია. ასე მაგალითად: გერმანიამ გაანთავისუფლა მცირე ბიზნესი ბრუნვის გადასახადიდან, ფინეთმა – შეამცირა გადასახადების განაკვეთი მცირე შემოსავლიანი მეწარმეებისთვის. გაერთიანებულმა სამეფომ შეიმუშავა საშემოსავლო გადასახადების პროგრესული სისტემა, ხოლო აშშ-ში ის კომპანიები, რომლებსაც მოგების დაბალი მაჩვენებლები აქვს, გადასახადს უფრო დაბალი განაკვეთით იხდიან. გადასახადიდან ნაწილობრივ განთავისუფლებული კომპანიების მიერ მიღებული დივიდენდი მიზნად ისახავს მის რეინვესტირებას და საწარმოს ფინანსურ ზრდას.

მცირე ბიზნესმენისთვის პრობლემა არის ის, რომ ხშირად სირთულის გამო ის სწორად ვერ იგებს საგადასახადო კოდექსის დებულებებს. სხვათა შორის, 2009 წელს განხორციელებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რასაც მცირე ბიზნესი აწყდება, არის საგადასახადო კოდექსის გაუგებარი ენა და ბუნდოვანი ფრაზები, ამაზე საუბარია მას შემდეგაც, რაც დღეს მოქმედი საგადასახადო კოდექსი მიიღეს. ვერ ხერხდება, რომ ჩანაწერები გასაგები იყოს, რომ ეს არ გახდეს შემდეგ იმ ფინანსური დარღვევების საფუძველი, რისთვისაც ფისკალური ორგანოები აჯარიმებენ წვრილ მეწარმეებს. მეორე თემა, რომელიც

მათ დაასახელეს, არის ბუღალტრული აღრიცხვის პრობლემა. კარგ ბუღალტერს კარგი ანაზღაურება სჭირდება. ყველა კვალიფიცირებული ბუღალტერი ცდილობს, რომ მსხვილ კომპანიასთან პქონდეს საქმე, რადგან იქ ანაზღაურებაც უკეთესია და პერსპექტივაც მეტი. სამწუხაროდ, წვრილი და საშუალო ბიზნესი რჩება ნაკლებად კვალიფიცირებული სპეციალისტების ხელში. ამასთანავე დაკავშირებული შემდეგ ის სირთულეები, რაც მათ საგადასახადო კოდექსთან ექმნებათ; და მესამე, ეს არის ბიზნესის დაგეგმვის პრობლემა. მათ არ ყოფნით რესურსი, რომ ბიზნესგეგმა შეადგინონ, ანუ თავიანთი საქმიანობის პარამეტრები განსაზღვრონ და რეალისტური მიზნები დაისახონ.

საბოლოოდ დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ; როგორც ირკვევა, მთელს მსოფლიოში მცირე საწარმოებში უფრო მეტია დასაქმებული, ვიდრე ყველა სხვა საწარმოში ერთად აღებული. გარდა ამისა, მცირე საწარმოები, ერთ მუშაკზე გაანგარიშებით, მეტ სიახლეებს და ცვლილებებს ნერგავენ, ვიდრე მსხვილი ფირმები.

საერთაშორისო თუ ადგილობრივმა ფონდებმა საქართველოში მცირე მეწარმეების დასახმარებლად ათეულობით მილიონი ლარი დახარჯეს, თუმცა ბიზნესის ეს სექტორი, განვითარების ნაცვლად, ყოველწლიურად მცირდება. მცირე და საშუალო ბიზნესის წილი ქართული ბიზნესის მთლიან მოცულობაში, გასული წლების მსგავსად, კვლავ არ აღემატება 15%-ს. შემცირებულია საშუალო ზომის საწარმოების რიცხვი, ამ საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა და საშუალო ხელფასი. საქართველოს ეკონომიკაში როგორც ბრუნვის, ასევე დასაქმებულთა რაოდენობის მაჩვენებლების 60%-ზე მეტი მსხვილ საწარმოებზე მოდის, მიუხედავად იმისა, რომ მსხვილი საწარმოების წილი რეგისტრირებულ სუბიექტებში მხოლოდ 7%-ია. კერძო სექტორის განვითარება და მესაკუთრეთა ფუნის ჩამოყალიბება ქვეყნის ეკონომიკის პრიორიტეტი უნდა გამხდარიყო. ხელისუფლების წარმომადგენლები საარჩევნოდ ამბობდნენ, რომ მცირე და საშუალო საწარმოები გადასახადებისგან განთავისუფლდებოდა, რაც გახდებოდა სტიმული იმისა, რომ მოქალაქეებს ბიზნესი ინიციატივა გაუჩნდებოდათ. საქართველოში დამწყები ბიზნესისტების წამახალისებელი საგადასახადო შეღავათები მიმდინარე წლის დასაწყისში ამოქმედდა.

ქვემოთ მოყვანილი დასკვნითი დებულებები ეფუძნება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის და ეფექტური ბიზნეს გარემოს ჩამოყ-

ალიბებაზე ორიენტირებულ საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში გასატარებელ ღონისძიებებს, რომლებიც მიგვაჩნია, რომ ქვეყანაში უახლოესი მომავალში უნდა გატარდეს.

- სახელმწიფო მინიმალური ღონით უნდა ჩაერიოს ბიზნეს ურთიერთობებში;

- მიზანშეწონილი იქნება დამოუკიდებელი სახელმწიფო სააგენტოს შექმნა, რომელიც მცირე და საშუალო ბიზნესის საკითხებს დაარეგულირებს და დააფინანსებს მცირე ბიზნესის პროექტებს. იგი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ქვეყანაში მცირე ბიზნესთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში, კოორდინაციასა და მონიტორინგს გაუწევს ქვეყანაში მცირე ბიზნესთან დაკავშირებულ საკითხებს და განხორციელებულ სახელმწიფო პოლიტიკას. მაგალითად, სოფლის მეურნეობის შემთხვევაში, მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ სწორედ ასეთმა სააგენტომ ყოველწლიურად რეკომენდაციების სახით მიაწოდოს გლეხს ინფორმაცია მოთხოვნად პროდუქციის ოდენობზე. აღნიშნული მიდგომა თავიდან აგვაცილებს ისეთ პარადოქსულ შემთხვევებს, რაც მოხდა რამდენიმე წლის წინ კახეთში, როდესაც გლეხებმა დაიწყეს ვენახის გაჩეხვა და დაიწყეს საზამთროს მოყვანა. დაგეგმარების პოლიტიკა საშუალებას მისცემდა ქვეყანას ეწარმოებინა საკუთარი მოსახლეობის გამოსაკვებად საჭირო პროდუქციის რაოდენობა. ჭარბი მოსავლის შემთხვევაში კი შესაძლებელი იქნება ერთ მხრივ ექსპორტზე გატანა, მეორეს მხრივ გადაამუშავებელ მრეწველობაში პროდუქციის გამოყენება. მსგავსი ინსტიტუტები და სახელმწიფო რეგულაცია სხვადასხვა ფორმით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში წარმატებით ფუნქციონირებს. მაგალითად, „მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია“ (SBA - Small Business Administration) აშშ-ში, „ბიზნესის, საწარმოების და რეგულაციების დეპარტამენტი“ (Department for Business, Enterprise and Regulatory Reform) დიდ ბრიტანეთში;

- სახელმწიფომ უნდა იზრუნოს საერთაშორისო დონორებისგან მცირე ბიზნესის განვითარებისათვის თანხების მოზიდვაზე.

- მცირე ბიზნესთან დაკავშირებულ კანონებში და კანონქვემდებარე აქტებში ცვლილებების შეტანა ძალიან ხშირად ხდება საერთაშორისო ექსპერტების რჩევების საფუძველზე. სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როდესაც უცხოელი ექსპერტები ცდილობენ იმ პრაქტიკის გადმოტანას ჩვენს სინამდვილეში, რომელიც მათ ქვეყნებში ან იმ ქვეყნებში მოქმედებს, სადაც მათ უმუშავიათ. ხშირად ჩვენი ქართული სინამდვილე, იმ სინამდვილის არარელევანტურია,

რომელიც იქ არსებობს.

▪ საგადასახადო კოდექსმა უნდა მიიღოს ორგანული კანონის სახე, რაც გამორიცხავს მასში ხშირ ცვლილებებს და დამატებებს. ეს ყოველივე სტაბილურობის და დაცულობის მეტ განცდას გააჩენს ბიზნეს სექტორში.

▪ მცირე ბიზნესისთვის უნდა დაწესდეს საგადასახადო აღრიცხვის მინიმალური და ანგარიშების გამარტივებული რეჟიმი. საგადასახადო დეკლარირების პრაქტიკა უნდა ითვალისწინებდეს ფისკალურ ორგანოებში ფინანსური საქმიანობის ამსახველი მხოლოდ ერთი დეკლარაციის და ისიც, მხოლოდ წელიწადში ერთხელ წარდგენას;

▪ ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა. საკრედიტო და საინვესტიციო რესურსების სიძვირე, მცირე ბიზნესს საშუალებას არ აძლევს ბაზარზე, ისედაც არათანაბარი კონკურენტული გარემოს პირობებში, კონკურენტული და ეფექტური გახადოს „ძვირი“ ფინანსური რესურსი და მისი გამოყენებით წარმოებული პროდუქცია ან გაწეული მომსახურება.

▪ ბიზნესმა, განსაკუთრებით კი, მცირე ბიზნესმა (მცირე, საშუალო და წვრილი წარმოება) თავად უნდა უზრუნველყოს შემდეგი მიზნების მიღწევა:

- დასაქმება;
- ადგილობრივი წარმოების მოცულობის ზრდა;

- რეალურად თავისუფალი კონკურენციის და ფასწარმოქმნის თავისუფალი საბაზრო პრინციპების უზრუნველყოფა;

- მოთხოვნა-მიწოდების ბალანსის უზრუნველყოფა და დაცვა;

- მოხმარების სტიმულირება;

- ფასწარმოქმნის სწორი რეგულაცია.

ქართული ბიზნესი განსაკუთრებული მოვლენაა, ისევე როგორც ამერიკული და ევროპული თუ აზიური. ამიტომ სახელმწიფოს მხრიდან უნდა წახალისდეს არა ერთმნიშვნელოვნად კაპიტალისტური ან სოციალისტური, არამედ უნდა შეიქმნას ქართული ეკონომიკის მოდელი, რომელიც იქნება წარმატებული და ერთადერთი და მოერგება მხოლოდ საქართველოს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის პროექტი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა. თბილისი 2009.
2. საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია.
<http://www.gsmea.ge/>
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.
<http://www.economy.ge>
4. იაშვილი, გ. სტრატეგიული მენეჯმენტი მცირე და საშუალო საწარმოებში. სტუ, თბილისი, 2009.
5. საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 2003 წლის 6 აგვისტოს 613 დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში მცირე სამეწარმეო საქმიანობის განვითარების და ხელშეწყობის ღონისძიებათა შესახებ“.
6. ახვლედიანი ა. მცირე საწარმოთა როლი ეკონომიკის განვითარებაში. ჟურნ. „ეკონომიკა“ 7-8, თბილისი, 2010.

**SMALL AND MEDIUM BUSINESS AND ITS PROSPECTS
FOR DEVELOPMENT IN GEORGIA**

***G. IASHVILI - Full Professor,
K. BETLEMIDZE - Doctoral Candidate***

It is known that a small business, compared with other business structural units, has obvious advantages and is the basis for many of the state's economy. Small businesses include small, medium and small enterprises which play a dominant role in economic and business processes of all developed countries.

In this article is discussed the essence of a small business, the advantages and disadvantages which follows a small business, the factors that affect it. It also shows the prospects for development a small and medium business in Georgia.

**МАЛЫЙ И СРЕДНИЙ БИЗНЕС И ПЕРСПЕКТИВЫ
ЕГО РАЗВИТИЯ В ГРУЗИИ**

***Г. ЯШВИЛИ - Профессор,
К. БЕТЛЕМИДЗЕ - Кандидат***

Известно, что по сравнению с другими структурными подразделениями бизнеса, малый бизнес со своими явными преимуществами является основой экономики многих стран. Малый бизнес содержит в себе малые, средние и микро предприятия, которые, во всех развитых странах играют доминирующую роль в экономических и бизнес процессах.

В данной статье рассмотрена сущность малого бизнеса, те преимущества и недостатки, которые сопровождают малый бизнес. Предоставлены факторы, которые влияют на него. Показаны перспективы развития малого и среднего бизнеса в Грузии.